# ცნობის ფურცელი

V წ. | ყოველ-დღიური გამოცემა.— შაბათი, 5 აგვისტო 1900 წ. | № 1202

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## მთავრობის განკარგულებანი

### სამხედრო უწყებას:

უმაღლესად ებოძათ წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენი: მე-155 ქვეითა კუბის პოლკის კაპიტანს თავ. სიმონ ერისთავს; მე-262 სალიანის რეზერვის პოლკის კაპიტანს დავით ასათიანს; მიხეილის ციხის ბატალიონის კაპიტანს დავით ბარათაშვილს; ახალციხის ბატალიონის კაპიტანს თავ. ივანე მელიქიშვილს; კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის შტაბს-კაპიტანს თავ. გასიდ ბებუთაშვილს; მე-15 ტფილისის გრენადერთა პოლკის პორუჩიკს თ. ალექსანდრე მაყაშვილს; სტანისლავის მე-2-ე ხარისხისა: მე-5-ე საარტილერიო ბრიგადის ბატარეის უფროსს პოდპოლკოვნიკს კირილე ქუთათელაძეს; პირველ კავკასიის საარტილერიო დივიზიონის პოდპოლკოვნიკს თ. ლევან ჩხეიძეს.

### სამოქალაქო უწყებას:

უმაღლესად ებოძათ კოლეჟსკი სოვეტნიკობა: ქუთაისის გუბერნიის საგლეხო სამმართველოს მდივანს გოცირიძეს, ტფილისის სამაზრო ნაწილის ბოქაულს გუგუშვილს, ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს უფროსს საქმის მწარმოებელს ბახტაძეს, ზუგდიდის სამაზრო სამმართველოს მე IX-ე კლასის შტატ-გარეშე მოხელეს—ჯიქიას, დუშეთის სამაზრო სამმართველოს საქმის მწარმოებელს დადეშქელიანს, თელავის სამაზრო სამმართველოს თარჯიმანს კიკნაძეს, ბაქოს სამოქალაქო პოლიციის სტოლის უფროსს ლოლობერიძეს, სიღნაღის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს—ნასიძეს, სიღნაღის მაზრის სამმართველოს მოხელეს ნასიძეს. ტფილისის სამოქალაქო პოლიციის ზედამხედველს თ. ჩიქოვანს.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 3 აგვისტო

**პეტერბურგი.** დაინიშნენ: მე-20 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალი მილოვი მე-3 ციმბირის არმიის კორპუსის უფროსად და მე-11 არმიის კორპუსის გენერალი ფილიპოვი სადესანტო კორპუსის უფროსად.

გამოქვეყნებულია ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი, რომლით შაქრის მწარმოებელთ ნება ეძლევათ გამოიტანონ შინაგან ბაზარზე გასასყიდად აკრძალული შაქარი, რომელზედაც არ გამოერთმევათ დამატებითი გარდასახადი.

**შანხაი.** ჰონკონგიდან მოსული ჯარი აქ არ გადმოსხეს, რადგანაც ჯარის გადმოსხმას ეწინააღმდეგება აქაური მმართველი. ინგლისის ქვეშევრდომნი შეძრწუნებულნი არიან ამ საქციელით. სეიმური მოელის ინსტრუქციას თავისი მთავრობისაგან.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში დამზადებულია პასუხი, რომლითაც სამინისტრო თანხმობას აცხადებს გერმანიის გენერლის მთავარსარდლობაზე ჩინეთში.

**ვენა.** მსჯელობს-რა სერბიის შესახებ „Freindenblatt“-ი, ამბობს, რომ ავსტრ-უნგრეთი ყოველთვის ცდილობს არ ჩაერიოს ბალკანეთის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში და ამ შემთხვევაში მისი მოქმედება ეთანხმება რუსეთის პოლიტიკას ამავე საკითხის შესახებ. ეხლა შეუძლებელია ლაპარაკი ავსტრ-უნგრეთის დამარცხების შესახებ. მისი საქმეები სერბიაში დამყარებულია არა სერბიის შინაურ საქმეებზე, არამედ სერბიის გეოგრაფიულ მდებარეობისა და მისი ავსტრ-უნგრეთთან ეკონომიურ დამოკიდებულებაზე. ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმეების შესახებ მსჯელობას დროა აღარ ვამყარებდეთ იმ აზრზე, ვითომც ავსტრ-უნგრეთის და რუსეთის ინტერესები აქ ერთმანეთის წინააღმდეგნი იყვნენ.

**პარიზი.** კანტონში მყოფ საფრანგეთის კონსულისაგან 1 აგისტოს მოსულ დეპეშიდანა სჩანს, რომ კანტონში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. იგი ცდილობს თურმე შემწეობა აღმოუჩინოს მმართველს და მთავრობას. შემდეგ დეპეშა იტყობინება, რომ სვატაუს ოლქში მისიონერთა და ქრისტიანეთა წინააღმდეგ მღელვარება საშიშრად ვრცელდებაო. ბევრი სოფელი ქრისტიანეთა გაცარცვეს და გადასწვესო.

**ჰონკონგი.** დასავლეთის მდინარიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის აუარებელი ჯარი, საფიქრებელია „შავი დროშის“ მომხრეთა, მიდის მდინარის სათავისკენ.

სვატაუს ახლო არეულობა არ შეწყვეტილა ქრისტიანეთა წინააღმდეგ.

ამ ჟამად იქ არის კრეისერი „მოსაუკი“ უცხოელთა დასაცველად. საიგონიდან აქ მოვიდა საფრანგეთის კანონერკა. კანტონში სამხედრო სამზადისი არ შეწყვეტილა. ვამპოსთან საფრების გაკეთებას ამთავრებენ. მდინარის ნაპირზე ჩაყოლება ასაფეთქებლად ნაღმებს ამზადებენ.

**ვაშინგტონი.** ადმირალი რემეი დეპეშით იტყობინება ტაკუდან, მე მივიღე მატაუდან ჩაფფისაგან დეპეშაო, რომ მის ჯარს შეტაკება ჰქონია მტერთან. აუტანელი სიცხეებია და ჩვენ ჯარში ბევრი ავადმყოფია. მატაუ იმყოფება 12 მილის სიშორეზე სეტიუდან. ეს ადგილი ტიანცზინისა და პეკინის გზაზე ყველაზე უვარგისია.

**ლონდონი.** დეპეშა შანჰაიდან, 1 აგვისტოს გამოგზავნილი: „სარწმუნო დეპეშა პეკინიდან 25 ივლისს გამოგზავნილი და აქ დღეს მიღებული, იუწყება, რომ ელჩებს ხელ-ახლად თავს დაეცნენ. საზრდოს ძლევა შესწყვიტეს. ადმირალი ბრიუსი იტყობინება ტაკუდან, რომ მიიღო ბრიტანიის გენერლისაგან ხეტიუდან შემდეგი დეპეშა 28 ივლისს: „მოკავშირეთა ჯარები იმყოფებიან პეკინიდან 27 მილის მანძილზე და მათ მტერი უწევს სუსტ წინააღმდეგობასო. თუმცა ჩინელები მოემზადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ მოკავშირეთა ჯარების დანახვისათანავე გაიქცნენ. ორმა ესკადრონმა ბენგალის ულანთა იერიში მიიტანა თათრების ცხენოსან ჯარზე. ბევრი ჩინელი მოკლულ იქმნა, წაართვეს რამდენიმე დროშა. მოკავშირეთა ჯარები შეაწუხა სიცხემ, თუმცა-ღა სანიტარული მდგომარეობა ჯარისა და მეომართა ხალისი საუცხოვოა. ლონდონში მყოფ ჩინეთის ელჩმა შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპეშა, რომლიდან სჩანს, რომ ორი დღის წინად პეკინში ელჩები უვნებლად ყოფილან.

**ბერლინი.** გერმანიის კრეისერის ესკადრის მეორე ადმირალი იტყობინება ტაკუდან 31 ივლისს, რომ კაპიტანი პოლი 27 ივლისს გაემგზავრა ტიანცზინიდან პეკინისაკენ 4 ოფიცრით და 107 ჯარის კაცით. კაპიტანი და პირველი ოფიცერი გემ „ზერტი“-სა წავიდნენ იქითვე ორი ოფიცრით და 150 ჯარისკაცით. პოლს თან გაჰყვნენ ტონკაუდან 160 ავსტრიელი.

**ტაინძინი.** ტუანის ჯარებთან ბრძოლის შემდეგ, რომლის დროს ჩინელებს თვით ტუანი სარდლობდა, მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს ხეციუ და მაშინვე სდევნეს ჩინელთა ჯარები, რომ იგინი ახლად არ ჩასაფრებულიყვნენ სიმაგრეებში; უეჭველია მოკავშირეთა ჯარი 30 მილის სიშორეზე მივა პეკინთან, რომ მოუჭრას ჩინელთ პაოტინფუსაკენ დახევა; ცხენოსანი ჯარი საჩხრეთისაკენ მიდის. პრინცი ტუანი სიკვდილით სჯის პეკინში ყოველს, ვინც თანაგრძნობას უცხადებს უცხოელთ ან სწოვაგეს აწვდის მათ.

**პეტერბურგი.** ბუხარის ემირმა შესწირა 100,000 მან. დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ; ეს ფული უმაღლესის თანხმობით გარდაეცა „წითელი ჯვრის“ საზოგადოების უმთავრესს მმართველობაში.

**ბერლინი.** იაპონიის წყაროები იუწყებიან ტოკიოდან, რომ 31 ივლისს, გათენებისას, იაპონელებს დაუპყრიათ უბრძოლველად ტუნჯოუ, რომელიც 10 მილის სიშორეზეა პეკინიდან; როგორც სჩანს, მტერი პეკინისაკენ დაწეულა; იაპონელთ ხელთ იგდეს ბევრი იარაღი და პურის საწყობები.

**ნიუ-იორკი.** 1 აგვისტოს ჩიფუდან ჩინეთის სარწმუნო წყაროებიდან გამოგზავნილი დეპეშა იუწყება, რომ ორშაბათს შეერთებულთა ჯარი მიადგა პეკინს. საფიქრებელია, რომ ლაშქარი ძა-

ლით შევიდა პეკინში და ელჩნი და მათნი მეგობარნი დღეს გადარჩენილ იქმნენ; უეჭველია, ისინი ახლა ქრისტიანთა ჯარის შორის არიან. ტიანძინიდან პეკინამდე რკინის გზა შეაკეთეს; რუსები მუშაობენ რკინის გზის ლიანდაგის შეკეთებაზე.

**კრიუგერსდორპი.** დევეტი ამ ჟამად იმყოფება ვენდერსდორპის მეორე მხარეს და მიდის ჩრდილოეთისაკენ დელარეისთან შესაერთებლად. დელარეი სდგას რუსტენბერგში. კიტჩენერი და სხვა გენერლები კვალ და კვალ მისდევენ დევეტს.

**შანჰაი.** მსხვილ-ფეხ საქონელს, რომელიც გემებით უნდა გაეგზავნათ შანჰაიდან ჩიფუში ინგლისის ჯარისათვის, გაუჩნდა ჭირი; ამისაგამო საქონლის გაგზავნა შეაჩერეს.

**ვაშინგტონი.** აქ მიღებულია ცნობა, რომ ჩინეთი მიანდობს წარჩინებულ მანდარინს, რომ ამან მოახერხოს ნახვა მოკავშირეთა ჯარის უფროსებისა ტუნჯოუში, რათა მათთან ერთად მიიღოს ზომები ელჩთა დაცვისათვის გზაზედ პეკინიდან ტიანძინამდე.

ამბობენ, რომ ეს მოლაპარაკება აქვს მინდობილი პრინც ცინს. ცინმა, ვგონებთ, კიდეც ინახულა უფროსები.

**შანჰაი.** მოკავშირეთა ჯარები იმყოფებიან პეკინში.

**შანჰაი.** ვიცე-კოროლმა 2 აგვისტოს სთხოვა ინგლისის მთავრობას, რომ მან გააუქმოს ბძანება ინდოეთის ჯარის გადმოყვანის შესახებ, და თუმცა ვიცე-კოროლს არ წარმოუდგენია პირდაპირი პროტესტი, ინგლისის მთავრობამ მაინც ბძანება გასცა შეჩერებულ იქმნას ჯარების გადაყვანა შემდეგ ბძანებამდე.

**დურბანი.** ბულლერი იმყოფება ბარბერთონის გზაზე.

**ლორენცო-მარკეზი.** 1 აგვისტოს მოვიდა რუსეთის სასანიტარო რაზმი—35 კაცისაგან შემდგარი (უმეტესობა ქალები არიან). რაზმი მაინც აქედან გაიხმეს, და საჩქაროდ მიდის ჩინეთში.

**შანჰაი.** მოხდა კონსულთა ყრილობა. ამათ არ გამოუცხადებიათ წინააღმდეგობა ინგლისის ჯარის გადმოყვანისა, მაგრამ განაცხადეს, რომ იმათი მთავრობაც გადმოიყვანს ჯარებსაო. ინგლისის კონსულმა გამოაცხადა ამაზე პროტესტი და დაემუქრათ, რომ ამ შემთხვევაში გადმოსაყვანად დამზადებული ინგლისის ჯარი უკან იქნება წაყვანილიო. საერთო დადგენილების თანახმად აქაურმა კონსულებმა გაუგზავნეს თავ-თავიანთ მთავრობას შემდეგი დეპეშა: თუ ინდოეთის ჯარებს აქედან წაიყვანენ, შანჰაის მოელის დიდი საშიშროებაო. ეს ჯარები უნდა გადმოყვანილ იქმნენ თანახმად საერთაშორისო დადგენილებისა. შანჰაის დაცვისათვის საჭიროა კიდევ იყვნენ გადმოყვანილი ბლომად მოკავშირეთა ჯარები.

**შანჰაი.** 2 აგვისტოს ინგლისის ჯარი აღარ გადმოიყვანეს აქა და გაგზავნეს იქით ვეი-ჰაი-ვეიში. ამ გადაწყვეტილებამ ვითომ დიდად დაალონა ევროპიელები. შიშობენ, რომ ჩინელებმა ჩქარა არ ისარგებლონ ამ გარემოებითაო.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ შანჰაიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 28 ივლისს ტაიპინგში, რომელიც მანანფუდან დასავლეთით მდებარეობს, მოჰკლეს 5 გერმანელი მისიონერიო.

∝ ტიან ძინიდან იტყობინებიან, რომ, რადგანაც წვიმები დაიწყო და პეკინის მიდამოები წყლით არის დაფარული, ხმელეთით პეკინში მისვლა შეუძლებელია. იაპონელები ამტკიცებენ, რომ წყლის დაკლებამდე, რომელიც აგვისტოს დამლევს უნდა მოხდეს, პეკინისაკენ ჯარების გაგზავნა უსარგებლო იქნება.

∝ ინგლისისა და ნანკინის მმართველს შუა გამართულ მოლაპარაკებას და საიდუმლო მორიგებას (რომელიც, როგორც გუშინდელ დეპეშიდან სჩანს, სისრულეში არ იქმნა მოყვანილი) ბევრი ეჭვის თვალით უყურებს. ამათთვის ცხადია, რომ დიდმა ბრიტანიამ, რომელიც მიხვდა, რომ იგი ვერაფერს ჩაიგდებს ხელში ჩრდილოეთ-ჩინეთში, სადაც რუსეთის დიდი ჯარია, გადასწყვიტა იმოქმედოს სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად იანცე-კიანგის ჭალაში.

ინგლისის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ სამხრეთ-ჩინეთი, სადაც აქამდე მშვიდობიანობა იყო, მალიან ადვილად შეიქმნება არეულობის და აჯანყების ახალ ასპარეზად იანცე-კიანგის ნაპირებზე ინგლისის ჯარების მოსვლის მიზეზით.

ინგლისის ჯარის სისუსტე, ამავე სახელმწიფოების აზრით, ეხლა ყველასათვის დამტკიცებულია; ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ იგი დამარცხდეს ჩინელებისაგან და ეს გარემოება კი მეტად ავნებს ევროპის საერთო ინტერესებს. გარდა ამისა, მარტო ინგლისის ინტერესების სფერას არ შეადგენს იანცე კიანგის ჭალა; საკმარისია აღინიშნოს რუსეთის ვაჭრების დიდი ჩაის ვაჭრობა და გერმანიისა და საფრანგეთის სავაჭრო ინტერესები.

∝ გრაფის ვალდერზეეს მთავარ-სარდლად დანიშვნის გამო გერმანული გაზეთები ამბობენ, რომ რადგანაც შეერთებული ჯარების მთავარ-სარდლად გერმანელია, გერმანიამ უნდა მოუმატოს თავის ჯარებს, რომელნიც ეხლა შორეულ აღმოსავლეთში არიან. როგორც ისმის, განზრახვა აქვთ გაგზავნონ კიდევ 15, ან 20 ათასი ჯარის-კაცი. მთავარ-სარდლის შტაბის შედგენას საჩქაროთ შეუდგნენ; ჰფიქრობენ, რომ შტაბში აირჩევიან ის ოფიცრები, რომელთაც უმსახურნიათ გრაფ ვალდერზეესთან.

ინგლისის გაზეთების სიტყვით, ვალდერზეეს მთავარ-სარდლად დანიშვნას ინგლისში სიამოვნებით შეეგებნენ. მაგრამ იმედიაო,—უმატებენ გაზეთები,—რომ ეხლანდელი სამხედრო ოპერაციების უმთავრესი მიზანი უკვე მიღწეული იქნება იმ დროსთვის, როცა გრაფი ვალდერზეე ჩინეთში მივაო.

ჩინეთის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაზე სწერენ: «განათლებულმა სახელმწიფოებმა შეადგინეს ჩინეთის შესახებ ორი წარმოდგენა, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ჩინეთთან დამოკიდებულების მოწყობაში. პირველი წარმოდგენა მდგომარეობს იმაში, რომ ჩინეთში აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრეა და, მეორეც, რომ გონებრივ და მრეწველობის მხრივ უმოძრაო ჩინელი თავის დღეში ვერ ისარგებლებს ამ სიმდიდრით და ვერ აქცევს მას ფულად. აქედგან მათ შემდეგი, მათის აზრით აუცილებელი, დასკვნა გამოიყვანეს: ჩინეთი—ევროპის ახალშენი უნდა გახდეს, მაგრამ, რადგანაც ჩინეთი მეტად დიდია და, გარდა ამისა, არის რამდენიმე სახელმწიფო, რომელთაც ჩინეთის ხელმძღვანელობის პრეტენზია აქვთ, დაიბადა აზრი ჩინეთის განაწილების შესახებ.

ეს დიდი შეცდომაა. მართალია, ჩინეთის სიმდიდრე აუარებელია; აქ ლაპარაკი არ არის მიწის ზედა-პირზე, რომელიც ჩინელმა შესანიშნავად შეიმუშავა (ამ მხრივ ჩინელი ბევრს რამეს ასწავლის ამაყ ევროპიელს); უმთავრესი სიმდიდრე მიწაშია ჩაფლული: არსად არ არის ამდენი ქვანახშირი, ამდენი სპილენძის, ტყვიის და სხვა ლითონების მადნები. თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენს ეს მადნეულობა, სჩანს იმ გარემოებიდან, რომ საუკეთესოდ დამუშავებულ ერთ ჰექტარ მიწას შეუძლიან შემოიტანოს დიდი დიდი—500 ან 600 ფრანკი, ქვა-ნახშირს კი ამავე ზომის ადგილზე შემოაქვს 1500 იდან 3000 ფრანკი წლიურად. გარდა ამისა, ამ გვარი სიმდიდრე აძლევს დიდ გადასაზიდავ მასალას რკინის გზებისა და გემებისათვის, ავითარებს მრეწველობას, ჰქმნის დიდ კაპიტალებს. ეს არის მიზეზი, რომ განათლებული სახელმწიფოები ასეთის გატაცებით ეტანებიან მადნეულის დამუშავებას, გაუნათლებელ ხალხს კი, ან ისეთს, რომელიც განათლების ერთ წერტილზე შეჩერებულია, არ ესმის ამ სიმდიდრეთა სარგებლობა. ჩინეთიც ეგრეთვე: იგი თავისით, უცხოეთის ძალდაუტანებლად არ შეუდგება თავისი სიმდიდრის ექსპლოატაციას.

ევროპიელების შეცდომა და დიდი შეცდომაც ის არის, რომ მათ ეგონათ ჩინეთის კოლონიად გადაქცევა ადვილი იყო. ჩინეთის კოლონიად გადაქცევა შეუძლებელია და აი რატომ: საკოლონიოდ გამოდგება ან ისეთი ხალხი, რომელიც ბუნებით და ტრადიციით შემთვისებელი და რბილი ხასიათის არის, ან ისეთი, რომელსაც არ აქვს ეროვნული თვით-შეგნება და საერთო ორგანიზაცია.

ჩინეთი ამ გვარი არ არის; იგი ინდოეთს არ ჰგავს. ჩინეთის ერი იმდენათ რეალისტია, რამდენათ ინდოეთის ხალხი იდეალისტი და ოცნების მოყვარე. რაც არ უნდა თქვან ზოგიერთმა მწერლებმა, არის მხოლოდ ერთი ჩინეთი და არა რამდენიმე. მართალია, ცენტრალური მთავრობა ჩინეთში სუსტია და დიდი გავლენა არ აქვს მთელ უზარ-მაზარ იმპერიაზედ, მაგრამ ჩინეთის ხალხი გამსჭვალულია ერთ იდა იმავე იდეებით და გრძნობებით, ერთი და იმავე ცრუმორწმუნოებით და მთლად წინააღმდეგია დასავლეთის გავლენისა. სიგიჟეა ვიფიქროთ, რომ შეიძლება თუნდ 5—6 ნაწილად გაყოფილი ჩინეთის კოლონიად გარდაქმნა, მაშინ როდესაც მას თავისი ცხადად განსაზღვრული პიროვნება და თვითცნობიერება აქვს.

მაშ რა იქნება ჩინეთი? იგი ჩინეთივე დარჩება, მაგრამ თან და თან, დიდს ზოზინით დაიწყებს გამოცვლას უფრო მრეწველობისათვის საჭირო ტეხნიკის მხრივ, ვიდრე გონებრივად. სცადეს ძალით გაეღოთ ყველა ჩინეთის კარები, ჩინეთმა კი ყველა კარების დაკეტვა გადასწყვიტა. შესაძლებელია, რომ ჩინელი ნაციონალისტები—«მოკრივენი», ვერ გაიმარჯვებენ; მაშინ ჩინეთი ნახევრად კარ-გაღებული დარჩება და მერე რამდენიმე 10 წლის განმავლობაში იგი იძულებული შეიქმნება სრულებით დაალოს კარებები.

ყველაზედ უფრო ამას ხელს შეუწყობს იმპერიის ფინანსიური მდგომარეობა. შარშან ჩინეთს ემართა ევროპის 1.500.000,000. თუ ამ ომის შემდეგ ჩინეთს 500,000 კონტრიბუცია დაადვეს, მაშინ მისი ვალი იქნება ორი მილიარდი, რომლის ყოველ-წლიური სარგებელი 100

მილიონს შეადგენს. დამოჟნის შემოსავალი არ ეყოფა ამ საშინელი ვალის გადახდას, მით უმეტეს რომ ევროპა ნებას არ მისცემს მას ასწიოს ბაჟი ევროპიელების ბაჟამდე. ევროპიელი სახელმწიფოები ხშირად ახდევინებენ ბაჟს, რომელიც უდრის საქონლის ღირებულების 60% პროცენტს და ოსმალეთს კი ნებას არ აძლევენ 12%-ზე ზევით ასწიოს სადამოჟნო გადასახადი. საუკეთესო საშუალება ჩინეთის შემოსავლის გადიდებისა არის ჩინელი და ევროპიელი კაპიტალების ერთად მოქმედება ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციისათვის.

# ახალი ამბავი

—

✦ გუშინ-წინ, 3 აგვისტოს, დიდუბისა და ნაძალადევის სახლებზე და ღობეებზე გააკრეს კავკასიის რკინის გზის უფროსის ბ-ნა გედქნეგის შემდეგი ბრძანება: „უმთავრეს სახელოსნოების ხელოსნებს და მუშებს ამით ვუცხადებ, რომ ხსენებულ სახელოსნოებში მუშაობა დაიწყება ჩვეულებრივ 5 საათზე და 30 წამზე პარასკევს, 4 აგვისტოს. ვინც დანიშნულ დროზე სამუშაოდ არ მოვა, იგი ითვლება სამსახურიდან გამორიცხულად და დათხოვნილ იქნება. ამისათვის ანგარიშს და პასპორტს მიიღებენ 6 აგვისტოს ახალ ლაზარეთში დილის 8 საათიდან 12 საათამდე. ისინი, ვინც 6 აგვისტოს არ მიიღებს ანგარიშსა და პასპორტს, პოლიციის საშუალებით გაიგზავნებიან სამშობლოში. ხელოსნებს და მუშებს ამით ვაფრთხილებ, რომ წეს-რიგის ყოველივე დარღვევა მაშინვე მოსპობილ იქნება და შემგონებელნი და მეთაურნი დაკავებულ და ქალაქიდან გაგზავნილ იქმნებიან. გონიერ მუშებს, რომელნიც სამუშაოდ გამოცხადდებიან, შეუძლიანთ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი პიროვნება დაცული იქნება“.

✦ ხშირი წვიმების გამო გომბორზე თუშებსა და ფშაველებს შორის გავრცელებულა სახადის მზგავსი ავადმყოფობა. სამწუხარო ის არის, რომ იქით ექიმები არ არიან, და ავადმყოფობა, შეიძლება, ძალიან გავრცელდესო.

✦ რკინის გზებზე დაარსებული იქმნება კურსები მწონავებისა და კონდუქტორებისათვის. ეხლა ამ კურსების შესაფერ პროგრამმის შედგენას შეუდგნენ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიანდო საექიმო დეპარტამენტს შეიმუშავოს კითხვა, თუ როგორ იქმნეს თავისუფალი ექიმის გასამრჯელოს ნორმა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ადმინისტრაციას ხელ-ახლად აღუძრავს შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ტფილისის მესამე სავაჟო გიმნაზიას 200,000 მანეთის ოთხ პროცენტიანის სესხის აღების ნება მიეცეს გიმნაზიისთვის შენობის ასაგებად.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით, სწავლის ფასი ტფილისის მესამე სავაჟო გიმნაზიაში იქნება 80 მანეთი 70-ის მაგიერ. ამავე გიმნაზიაში იხსნება მე-5 პარალელური კლასი.

✦ ტფილისში იმყოფება ეხლა ცნობილი დრამატურგი და არტისტი ა. ი. სუმბათაშვილი.

✦ წელს ტფილისში სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულია 722 კაცი. ამათგან ჯარის კაცად უნდა გაიყვანონ 209.

✦ კავკასიის რკინის გზის ანგარიშიდან სჩანს, რომ მიხეილის ტეხნიკურ სასწავლებელში წელს ყოფილა 93 მოსწავლე, ტფილისის სამოქალაქო ექვს კლასიან რკინის გზის სკოლაში—544, ტფილისის საქალებო პირველ დაწყებით ორ-კლასიან სკოლაში—242, ხაშურის პირველ-დაწყებით სკოლაში—214 ვაჟი და 95 ქალი, განჯაში—65 და ვაჟი და 34 ქალი, სამტრედიაში—153 ვაჟი და 21 ქალი, ბაქოში—77 ვაჟი და 34 ქალი, აჯი-ქაბულში—28 ვაჟი და 7 ქალი.

✦ საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთ, რომელთაც მომდინარე ოქტომბერში სამხედრო ბეგარა მოელის, უთუოდ 15 აგვისტოსათვის უნდა წარმოადგინონ თხოვნები სწავლის განგრძობის ნება-რთვის მიღების შესახებ.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დღეს, 5 აგვისტოს, სურამის პარკის როტონდაში დანიშნულია საინტერესო საღამო საქველ-მოქმედო მიზნით. საღამო შესდგება ბუნდოვან სურათებით „ვეფხის ტყაოსნიდან“ და სინემატოგრაფიდან. ბავშვებისათვის დანიშნულია 7 საათიდან 9 საათამდე. მხოლოდ 9 საათიდან საყოველთაოდ ამ საღამოს განაგებენ ბ.ბ. ბალანჩივაძე და შ. საფაროვი. წარმოდგენისათვის მიწვეულია ცნობილი მოგზაური ჯონ-მორისი. ესევე საღამო დანიშნულია დ. ბორჯომში 4 აგვისტოსათვის.

✦ ჩვენ მივიღეთ „კავკაზ. ვესტნიკ“-ის მე-VIII წიგნი, რომელშიაც წინად დაწყებული წერილების და მოთხრობების გაგრძელების მეტი ახალი არა არის-რა.

## მარგანეცის მწარმოებელთა კრება

### IV *)

გარდა იმ დადგენილებათა, რომელნიც გუშინდელ №-ში მოვიხსენიეთ, კრებამ, ბ. ჯიბო იაშვილის წინადადებით, დაადგინა სრულიად განთავისუფლებულ იქმნან მუშები კვირა დღეობით მუშაობისაგან; ამიტომ მათ კვირაობით არ ჩაბარდება მარგანეცი და მათაც არ უნდა გადასცენ ის იმ დღეს არავის.

შემდეგ კრებას მოხსენდა საბჭოს პროექტი სტატისტიკურ ბიუროს დაარსების შესახებ. დღემდის თითქმის არ არსებობს არავითარი დაწესებულება, რომელიც განაგებდეს მარგანეცის შესახებ სტატისტიკას. ხოლო ასეთი დიდი წარმოება, როგორიც შორაპნის მაზრაში არსებობს, უთუოდ საჭიროებს წესიერად მოწყობილ სტატისტიკურ დაწესებულებას. კრებამ თითქმის უკამათოდ დაადგინა — დაარსდეს სტატისტიკური ბიურო.

შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ, სამიწად-მოქმედო სამინისტროს აზრით, უნდა დაარსდეს ტეხნიკური კომიტეტი, რომელსაც საგნად ექნება მადნების დაცვაო. კრებამ არ განიხილა ეს წინადადება, რადგანაც არ იყო წარმოდგენილი მის შესახებ დასაბუთებული მოხსენება.

კრებამ დაამტკიცა პროექტი სამადნო პოლიციის გადიდების შესახებ. ამ ჟამად მწარმოებელთა ხარჯზე მადნებში არიან: 1 ბოქაული, 2 მწერალი, 2 გზირი და 10 დარაჯი. ამიერიდან ამათ მიემატება კიდევ ბოქაულის თანაშემწე და საქმის მწარმოებელი. ამასთანავე კრებამ დაადგინა სთხოვოს ადმინისტრაციას, რომ სამადნო პოლიცია თავისუფალი იყოს საზოგადო პოლიციის მოვალეობათა ასრულებისაგან.

დიდი კამათი გამოიწვია საბჭოს წინადადებამ, რომ $^1/_2$ კაპ. მაგიერ მარგანეცის ყოველ გაზიდულ ფუთზე დაედვას მწარმოებელთა კრების სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადათ $^3/_4$ კაპეიკი. საბჭოს თავმჯდომარის გ. ვ. ზდანოვიჩის სიტყვით, ეს მომატება გამოწვეულია კრების მოთხოვნილებაზრდით; ახალ გარდაწყვეტილებათა ძალით უნდა დაარსდეს საავადმყოფო, სტატისტიკური ბიურო და სხვა; ამგვარ დაწესებულებათა გახსნისთვის საკმარისი არ იქნება ის თანხა, რომელიც [illegible] $^1/_2$ კაპ. გადასახადიდანაო. წინადადების წინაამდეგი შეიქმნა ცნობილი ექსპორტერი მარგანეცისა ბ. ემერიკი. მარგანეცის გამზიდველთა ჯიბე იმდენად დიდი კი არ არისო, სთქვა მან, რომ შეიძლებოდეს გადასახადის ამგვარი მომატება; მართალია, მოთხოვნილება ბევრია, მაგრამ ზოგიერთის ასრულება ჯერ საჭირო არ არისო; უმჯობესი იქნება ისეთი ზომები მივიღოთ, რომელთა შემწეობით შეიძლებოდესო მარგანეცის გაზიდვის გაძლიერება, რაც თავის თავად გაადიდებს კრების სასარგებლოდ არსებულ თანხასაო. ბ. ემერიკს პასუხი მისცეს ექიმმა პჟინაძემ, გ. ფ. ზდანოვიჩმა და ბ. მოდებაძემ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ კრების მიერ გადაწყვეტილი ზომები უთუოდ უნდა იქმნან განხორციელებულნიო და ამიტომ საჭიროა მოემატოს გადასახადსაო. გ. ფ. ზდანოვიჩმა ამასთანავე მოაგონა კრებას, რომ შარშანდელმა კრებამ უკვე გადასწყვიტა $^1/_8$ კაპ. მომატებისა, ასე რომ ეხლა მხოლოდ $^1/_8$-ის მომატებაზე უნდა ვილაპარაკოთო. ბ. ქვარიანმა დასძინა, რომ გადასახადის მომატება შეძლებას მოგვცემს დავაარსოთ თანხა წვრილ კრედიტის დაწესებისათვისაო.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა — ამ საკითხის შემდეგ სხდომაზე კენჭს ვუყრით.

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1201.

# საღამოს დეპეშები

4 აგვისტო

**შანჰაი**, 2 აგვისტო. სეიმურს მიეცა ინსტრუქცია, რომ აქ გამოგზავნილი ჯარები გაიგზავნოს ჩრდილოეთისაკენ: ეს მოხდება ხვალ, თუ სამინისტრო არ გადასდებს ამ გარდაწყვეტილებას. ინგლისის ბანკირებმა და გემების პატრონებმა გაუგზავნეს სალისბიურს დეპეშა, რომელშიაც სწერენ, რომ მისს განკარგულებას შეიძლება უბედურება მოჰყვეს. ისინი დაბეჯითებით თხოულობენ მოიფიქრონ ეს კითხვა. უცხოეთის კონსულებმაც, რომელნიც აგრეთვე ჰშიშობენ, რომ ცუდი შედეგი მოჰყვება ამ ნაბიჯსო, მიჰმართეს თავიანთ სახელმწიფოებს ამგვარივე აზრით და სთხოვეს დაითანხმონ ინგლისის მთავრობა და აქ გადმოსხას ჯარი.

**პარიზი.** სწავლა-აღზრდის განყოფილებაში, პირველ-დაწყებითი სწავლის ნაწილში, გამოფენაზედ, უმთავრესი საჩუქარი მიეცათ უწმიდ. სინოდის სამოსწავლო საბჭოს, პეტერბურგის პატრიო-

ტულ საზოგადოებას, საერო განათლების სამინისტროს, ქალბატონს ალჩევსკისას, ფინლიანდიის სკოლების უმთავრესს ადმინისტრაციას, კავკასიის სამოსწავლო ოლქს, პეტერბურგის სამოსწავლო კომისის, ვიატკის, მოსკოვის ნიჟეგოროდის საერობო სამოსწავლო საბჭოთ; სამაზრო ერობათ და საბჭოთ, დასაწყის სკოლათა დირექციებს ვიატკის გუბერნიისას, და ბრიანსკის ერობას.

**ვაშინგტონი.** ლიხუნჩანგმა სთხოვა ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ეცადოს შეაყენოს მოკავშირეთა ჯარის ტუნჯუზე გალაშქრება, რათა აღმატებულმა მანდარინმა შესძლოს იქ მათთან შეხვედრა დროებითი შერიგებაზე მოსალაპარაკებლად. ლიხუნჩანგმა წინადადება მისცა ამერიკის კონსულს შანხაიში გამოიყვანენ ელჩებს პეკინიდან და ჩააბარებენ მოკავშირეთა ჯარებიო, მაგრამ ეს წინადადება არ მიიღო და განმეორებით მოსთხოვა ჩინეთს იმოქმედოს მოკავშირეთა ჯარებთან ერთად და დაეხმაროს მოკავშირეთა ჯარს პეკინში შესვლას და იქიდან ელჩების და სხვა ქრისტიანთა გამოხსნის საქმეში.

**ვაშინგტონი.** ხმა დადის, ვითომ შეერთებული შტატები თანახმაა დროებით მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე, თუ ჩინეთი გაანთავისუფლებს პეკინში მყოფ ელჩებს და სხვა უცხოელებს, და სამხედრო მოქმედების შეჩერებაზედ მშვიდობიანობის ჩამოგდების პირობებზე მოსალაპარაკებლად.

**ტიან-ძინი.** მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს ჩეინძიავაინი. ცოტაოდენი ზარალი მოუვიდათ. ჩინელები გაიქცნენ. დასტოვეს მოკლული 500 კაცი ამათგან ტუნჯოუში, ნაწილიც პეკინში.

**ლონდონი.** გეზლი იტყობინება მატაუდან 29 ივლისს შემდეგს: „დღეს დილით მოველით აქ სამძიმო ღამით მოგზაურობის შემდეგ. ყველა სახელმწიფოების ჯარები შეაწუხა სიცხემ, ჰფიქრობენ, რომ მტერი დაბანაკდა ჩჟანძიავონის ჩრდილოეთით. ელჩებისაგან ცნობები აღარ მოსულა“.

**კობე.** იაპონიამ წინადადება მისცა სახელმწიფოებს და ჩინელებს მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. ჩინეთმა მიიღო წინადადება. სახელმწიფოები თხოულობენ, რომ პეკინში შემწყვდეულნი ელჩები ჩააბარონ მოკავშირეთა ჯარებს პეკინის გალავანს გარედ ან და ნება მისცენ მოკავშირეთა ჯარებს შევიდნენ პეკინში. იაპონიამ მოლაპარაკება დაიწყო.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი | . . . . . . | » — | 15 კ. |
| » ცხვრისა | . . . | » — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა | . . . | 1 — | 8 კ. |
| » კამეჩისა | » » | » — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი | . | 1 » — | 10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » » | 6 | « |
| » » | II | » » | 4 | « |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე,

| ხორბალი | საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . . | 1 | 1 | 1—5— | | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 23 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10%, შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუგურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულითავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება ვორონცოვის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში. პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი **№ 33** რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

გამომც. გ. გუნია